საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

თვის მიმოხილვა

2024

სარჩევი

ინფლაცია 3
საბანკო სექტორი 5
საგარეო სექტორი 7
სავალუტო ბაზარი 11
ფულადი ბაზარი 14
მონეტარული აგრეგატები 15

"თვის მიმოხილვა"
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ

ყოველთვიური პუბლიკაცია

ISSN 1512-1259

ინფლაცია

მაისში წლიური ინფლაცია გასულ თვეებთან შედარებით გაიზარდა და 2.0% შეადგინა, თუმცა კვლავ მიზნობრივი, 3%-იანი, მაჩვენებლის ქვემოთ ნარჩუნდება. აპრილთან შედარებით ფასებმა 0.4%-ით მოიმატა.

აპრილში ინფლაციის ზომიერი მატების მიზეზი საწვავსა და ზოგიერთ სურსათზე ფასების ზრდაა. საბაზო ინფლაციამ, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მაღალი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომატარებლების და სიგარეტის ფასებს გამორიცხავს წინა თვესთან შედარებით მოიკლო და 1.7% შეადგინა. საბაზო ინფლაციის შემცირება ძირითადად წინა წელს გაძვირებული საბანკო მომსახურების ღირებულების ეფექტის ამოვარდნას უკავშირდება.

თვის ინფლაცია 0.4% (მნიშვნელოვანი წვლილები)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

წლიური ინფლაცია 2.0% (მნიშვნელოვანი წვლილები)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

მაისში აპრილთან შედარებით ყველაზე მნიშვნელოვანი კარტოფილის 22.2%-იანი გაძვირება იყო, რამაც თვის ინფლაცია 0.3 პპ-ით გაზარდა.

წლიურ ჭრილში ინფლაციას ყველაზე მეტად ბენზინის გაძვირება ზრდის. გასულის წლის მაისთან შედარებით ბენზინის ფასებმა საშუალოდ 31.7%-ით მოიმატა, ხოლო წვლილმა მთლიან ინფლაციაში 1.0 პპ შეადგინა. სურსათის ფასები თითქმის გასული წლის დონეზე შენარჩუნდა. აქედან გამოსარჩევი ზეთი, პური და ხახვი იყო, რაც ინფლაციას ჯამში 0.6 პპ-ით ამცირებდა, ხოლო ვაშლი, მწვანილი და აცამი ამდენითვე ზრდიდა.

მთლიანი და საბაზო ინფლაცია



წყარო: საქსტატი

ჯგუფების წვლილი მთლიან ინფლაციაში



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

ადგილობრივი ინფლაცია მიზნობრივ 3%-თან ახლოს ნორმალიზდა. მაისში ადგილობრივი ინფლაცია 2.5%-ს გაუტოლდა და მასში მთავარი წვლილი მომსახურების ფასების ცვლილებამ (2.1 პპ) შეიტანა. შერეულად წარმოებული პროდუქტები ჯამში 0.3%-ით იაფი იყო გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. შერეულ ინფლაციაზე შემცირების მიმართულებით ყველაზე მეტად ზეთის, ანტიბიოტიკებისა და ელექტროენერგიის ტარიფის წლიური გაიაფება მოქმედებს. იმპორტირებული პროდუქტების ინფლაცია 3.8%-მდე გაიზარდა, რისი მთავარი მიზეზიც საწვავის გაძვირებაა.

მომსახურების ინფლაცია კლებად ტენდენციას განაგრძობს და მაისში 4.4%-მდე შემცირდა. წინა თვესთან შედარებით შემცირების მთავარი მიზეზი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ საბაზო ეფექტი, კერძოდ, საბანკო მომსახურების წვლილის განულებაა.

იმპორტული, შერეული და ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია და მათი წვლილები მთლიან ინფლაციაში



წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი

ინფლაცია ჯგუფების მიხედვით	2024 წლის წონები	მაი24/აპრ24		მაი24/მაი23	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	0.4%	0.4%	2.0%	2.0%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	33.4%	0.4%	0.1%	0.7%	0.2%
სურსათი	30.4%	0.5%	0.1%	0.4%	0.1%
პური და პურპროდუქტები	6.1%	0.4%	0.0%	-5.1%	-0.3%
ხორცი და ხორცპროდუქტები	6.8%	-0.6%	0.0%	1.0%	0.1%
თევზეული	0.4%	0.6%	0.0%	0.3%	0.0%
რძე, ყველი და კვერცხი	6.7%	-2.8%	-0.2%	-2.1%	-0.1%
ზეთი და ცხიმი	2.5%	-3.7%	-0.1%	-14.9%	-0.4%
ხილი, ყურძენი	1.6%	4.1%	0.1%	38.1%	0.6%
ბოსტნეული, ბაღჩეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.2%	7.8%	0.3%	4.5%	0.2%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.3%	2.5%	0.1%	2.5%	0.1%
კვების სხვა პროდუქტები	0.7%	0.8%	0.0%	1.9%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	2.9%	-0.5%	0.0%	3.4%	0.1%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.8%	0.2%	0.0%	3.5%	0.2%
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	4.0%	0.2%	0.0%	-3.8%	-0.2%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	8.7%	0.4%	0.0%	-1.3%	-0.1%
ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.5%	-0.5%	0.0%	-2.7%	-0.2%
ჯანმრთელობის დაცვა	9.4%	0.2%	0.0%	0.0%	0.0%
ტრანსპორტი	12.0%	1.2%	0.1%	12.3%	1.3%
კავშირგაბმულობა	3.7%	-0.2%	0.0%	-1.5%	-0.1%
დასვენება, გართობა და კულტურა	3.3%	0.2%	0.0%	-1.3%	0.0%
განათლება	4.6%	0.0%	0.0%	3.6%	0.2%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	3.3%	1.5%	0.1%	7.7%	0.3%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	5.2%	0.1%	0.0%	3.3%	0.2%
ხანმოკლე მოხმარების საქონელი	63.1%	0.4%	0.3%	1.9%	1.2%
საშუალო მოხმარების საქონელი	7.2%	0.2%	0.0%	-3.4%	-0.2%
ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	4.9%	0.2%	0.0%	-0.8%	0.0%
მომსახურება	24.8%	0.3%	0.1%	4.4%	1.1%

წყარო: საქსტატი

საბანკო სექტორი

აპრილში საბანკო სექტორის სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად 7.8 მლრდ ლარით გაიზარდა (თვიურად 205.4 მლნ ლარით გაიზარდა) და 50.9 მლრდ ლარი შეადგინა. სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად 18.0%-ით გაიზარდა, მეტწილად, ეროვნული ვალუტის დეპოზიტების მატების გავლენით. აპრილში, წინა თვესთან შედარებით ეროვნული ვალუტის სადეპოზიტო ვალდებულებები 675.0 მლნ ლარით (2.6%-ით) გაიზარდა და 26.7 მლრდ ლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდა, ფიზიკური პირების დეპოზიტების მატებამ გამოიწვია. რაც შეეხება უცხოური ვალუტის დეპოზიტებს, წინა თვესთან შედარებით 469.6 მლნ ლარით შემცირდა. სამთავრობო სექტორის დეპოზიტები 572.8 მლნ ლარით გაიზარდა.

სადეპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სადეპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აპრილში დეპოზიტების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე) წინა თვესთან შედარებით 0.2 პპ-ით შემცირდა და 6.3% შეადგინა. ეროვნული ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით 7.8%-მდე შემცირდა, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი უცვლელად 1.6%-ზე შენარჩუნდა. რეზიდენტების ლარის ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით შემცირდა და 10.8% შეადგინა. აშშ დოლარის ვადიანი დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით 2.1%-მდე შემცირდა, ხოლო ევროს ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.2 პპ-ით გაიზარდა და 1.2% შეადგენს.

დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე, ნაკადი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები ვალუტების მიხედვით (ნაკადი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

უცხოური და ეროვნული ვალუტის დეპოზიტების ზრდის ტემპებიდან გამომდინარე, დეპოზიტების დოლარიზაციამ აპრილში წინა თვესთან შედარებით 1.3 პპ-ით შემცირდა და 48.3% შეადგინა. აპრილის ბოლოს, ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია 0.4 პპ-ით 63.7%-მდე, ხოლო იურიდიული პირების 1.5 პპ-ით 37.2%-მდე შემცირდა. ამავდროულად, ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაცია, აპრილში, წინა თვესთან შედარებით 0.2 პპ-ით 60.3%-მდე შემცირდა.

დეპოზიტების დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აპრილში, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხები წლიურად 18.4%-ით გაიზარდა. სესხების ზრდის ტემპი წინა თვესთან შედარებით 1.1 პპ-ით გაიზარდა. სესხების ზრდის ტემპის მატება როგორც ეროვნული, ისე უცხოური ვალუტით დაკრედიტების ზრდამ განაპირობა. კერძოდ, აპრილში, ეროვნული ვალუტით დაკრედიტების ზრდის ტემპი 20.4%-მდე გაიზარდა და მთლიანი სესხების ზრდაში 11.4 პპ-იანი წვლილი შეადგინა. უცხოური ვალუტით დაკრედიტება (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით) წლიურად 16.0%-ით, 24.4 მლრდ ლარამდე გაიზარდა და მთლიანი სესხების ზრდაში 7.0 პპ-იანი წვლილი შეიტანა. უცხოური ვალუტით დაკრედიტების აჩქარება ბიზნესის ტიპის სესხების ზრდას უკავშირდება. ბიზნესის სესხების წვლილი დაკრედიტების ზრდაში 10.9 პპ-ია. იპოთეკური სესხების წვლილმა მთლიანი სესხების ზრდაში 2.2 პპ შეადგინა.

სესხების წლიური ზრდის ტემპი (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სესხები მიზნობრიობის მიხედვით (წლიური ზრდის ტემპი; კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აპრილში, სესხების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით, 0.1 პპ-ით გაიზარდა და 12.9% შეადგინა. **ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით 15.0%-მდე შემცირდა, ხოლო უცხოური ვალუტით გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით 8.7%-მდე გაიზარდა.**

საპროცენტო განაკვეთები იურიდიულ პირებზე გაცემულ სესხებზე (ნაკადი)

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპროცენტო განაკვეთები იპოთეკურ სესხებზე (ნაკადი)

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აპრილში, იურიდიულ პირებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით 12.8%-მდე შემცირდა. იპოთეკურ სესხებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.3 პპ-ით 11.3%-მდე შემცირდა. აპრილში, წინა თვესთან შედარებით, იურიდიულ პირებზე უცხოური ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით 9.2%-მდე გაიზარდა. უცხოური ვალუტით გაცემული იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთი კი 0.2 პპ-ით 7.0%-მდე შემცირდა.

აპრილში მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია 44.7%-ზე შენარჩუნდა. იურიდიული პირების სესხების დოლარიზაცია წინა თვესთან შედარებით 0.5 პპ-ით 64.4%-მდე გაიზარდა, ხოლო ფიზიკური პირების სესხების დოლარიზაცია 0.3 პპ-ით 27.6%-მდე შემცირდა. აპრილში ვადაგადაცილებული სესხები წინა თვესთან შედარებით 31.8 მლნ ლარით გაიზარდა და 523.7 მლნ ლარს გაუტოლდა. ვადაგადაცილებული სესხების 45.7% ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული.

დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ვადაგადაცილებული დავალიანება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საგარეო სექტორი

2024 წლის აპრილში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წელთან შედარებით 27.8%-ით გაიზარდა და 925.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. **საგარეო ვაჭრობის დეფიციტის მატება იმპორტის ზრდას უკავშირდება.** აღნიშნულ თვეში, საქონლის იმპორტი წლიურად 11.3%-ით 1,362.0 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა, ხოლო ექსპორტი წლიურად 12.7%-ით შემცირდა და 437.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

საქონლის ექსპორტ-იმპორტისა და სავაჭრო ბალანსის დინამიკა



წყარო: საქსტატი

სავაჭრო ბალანსი ქვეყნების მიხედვით (აპრილი 2024)



წყარო: საქსტატი

იმპორტი - აპრილში საქონლის იმპორტი წლიურად 11.3%-ით გაიზარდა. საქონლის იმპორტის მატება უმეტესად საინვესტიციო სახის საქონლის იმპორტის ზრდამ განაპირობა. სამომხმარებლო სახის საქონელის იმპორტმა ასევე მოიმატა, ხოლო შუალედური სახის იმპორტი ზომიერად გაიზარდა. საინვესტიციო საქონლის იმპორტის მატება უმეტესად გამომთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკების, ასევე სხვა საფრენი აპარატების, რადიოსატელეფონო აპარატურისა და სატვირთო ავტომობილების შესყიდვების ზრდამ განაპირობა. მეორე მხრივ, ამავე ჯგუფში რეექსპორტისთვის განკუთვნილი სატვირთო ავტომობილების, ასევე ჭურჭლის სარეცხი მანქანების იმპორტი წლიურად მნიშვნელოვნად შემცირდა. შუალედური სახის საქონლის იმპორტის მატება უმეტესად მანგანუმის მადნებისა და კონცენტრატების, ასევე იმუნური შრატებისა და ვაქცინების მნიშვნელოვანმა ზრდამ განაპირობა. გარდა ამისა, პორტლანდცემენტისა და შაქრის იმპორტმა წლიურად მოიმატა. მეორე მხრივ, რეექსპორტისთვის განკუთვნილი ძვირფასი ლითონების, ასევე სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, აგრეთვე ნავთობაირებისა და ნახშირბადიანი ფოლადის წნელების იმპორტმა მოიმატა. სამომხმარებლო სახის საქონლის მატებაში ყველაზე მეტი წვლილი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ასევე სამკურნალო საშუალებებისა და ჰაერის კონდენცირების მოწყობილობების შესყიდვების მნიშვნელოვანმა ზრდამ შეიტანა, თუმცა ამავე ჯგუფში შემცირდა ტანსაცმლის, სატელეფონო აპარატებისა და სამაცივრე მოწყობილობების ჯგუფების იმპორტი. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად მსხვილი საიმპორტო ჯგუფის - მსუბუქი ავტომობილებისა და სატელეფონო აპარატების - იმპორტის წლიურად კლებისა, მათი მოცულობა მთლიან იმპორტში მნიშვნელოვან წილს იკავებს. მთლიანობაში, აპრილში წლიურად საქონლის იმპორტმა რეალურად 2.6%-ით მოიმატა.

საქონლის იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



წყარო: საქსტატი

საქონლის რეალური იმპორტი (წლიური ცვლილება)



წყარო: საქსტატი

ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან იმპორტის მატებაში მაღალი წვლილი შეიტანა ჩინეთმა, რაც ჰაერის კონდენცირების მოწყობილობების, რადიოსატელეფონო აპარატურისა და პოლიაცეტილების შემოტანის ზრდას უკავშირდება. თუმცა, ამ ქვეყნიდან გამომთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკების, ასევე ნახევარგამტარი ხელსაწყოების იმპორტმა წლიურად დაიკლო. რუსეთიდან იმპორტის მატება ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ასევე ხორბალი-მესლინის შესყიდვების ზრდამ განაპირობა. დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია ჰონკონგიდან გამომთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკების, ბულგარეთიდან, საბერძნეთიდან, კვიპროსიდან და ბელარუსიდან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, გერმანიიდან სხვა საფრენი აპარატებისა და სამკურნალო საშუალებების, შვეიცარიიდან და იტალიიდან სამკურნალო საშუალებებისა და იმუნური შრატების, საფრანგეთიდან სამკურნალო საშუალებების, ხოლო ნიდერლანდებიდან გამომთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკების მნიშვნელოვანი მატება. ამის საპირისპიროდ, დანარჩენი ქვეყნებიდან იმპორტის კლების კუთხით გამოირჩეოდა აშშ - მსუბუქი ავტომობილების, სომხეთი - სპილენძის, ასევე ძვირფასი მადნებისა და კონცენტრატების, იაპონია რეზინის პნევმატური სალტეებისა და მსუბუქი ავტომობილების, ხოლო ინდოეთი - შავი ლითონის მეტალოკონსტრუქციების შემცირებული შესყიდვების გამო. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი იმპორტის 62% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით იმპორტი უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

აპრილში იმპორტირებულ საქონელში წამყვანი წილი **მსუბუქ ავტომობილებს, ასევე ნავთობპროდუქტებსა და სამკურნალო საშუალებებს (27%-იანი წილი მთლიან იმპორტში) ეჭირა.** აღსანიშნავია, რომ აპრილში იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით წინა წლის აპრილთან შედარებით უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის იმპორტი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით (აპრილი 2024, მლნ აშშ დოლარი)

წყარო: საქსტატი

ქვეყნების წილი საქონლის იმპორტში (აპრილი 2024)



წყარო: საქსტატი

ექსპორტი - აპრილში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიურად 12.7%-ით შემცირდა. საქონლის ექსპორტის კლება მეტწილად შუალედური სახის საქონლის ექსპორტის შემცირებამ განაპირობა, შემცირდა ასევე სამომხმარებლო და საინვესტიციო საქონლის ექსპორტი. შუალედური საქონლის ექსპორტის კლებაში მნიშვნელოვანი წვლილი (32.3 პპ) სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა შეიტანეს. გარდა ამისა, ადგილობრივი საქონლის ჯგუფებიდან აღსანიშნავია მინერალური და ქიმიური სასუქების და ასევე ელექტროენერგიის ექსპორტის მნიშვნელოვანი კლება. აპრილში, წინა წლის ბოლო თვეებისგან განსხვავებით, ფეროშენადნობების ექსპორტი მაღალი იყო, თან ასევე წლიურად მისი მოცულობა გაიზარდა. ამასთანავე, ძვირფასი ლითონების მადნებისა და კონცენტრატების ექსპორტმა კვლავ მოიმატა. სამომხმარებლო სახის საქონლის ჯგუფიდან ყველაზე მეტი უარყოფითი წვლილი მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტის შემცირებამ შეიტანა. დაიკლო ასევე სამკურნალო საშუალებებისა და სხვადასხვა სეზონური ხილის ექსპორტმა. მეორე მხრივ, ამ ჯგუფში მნიშვნელოვნად მოიმატა ყურძნის ღვინოების, სპირტიანი სასმელებისა და სხვადასხვა სუნელების ჯგუფების ექსპორტმა. საინვესტიციო საქონლიდან მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, საცვირთო ავტომობილებისა და გრუნტის მოწყობილობების ექსპორტმა დაიკლო, ხოლო სხვა საფრენი აპარატების, სამშენებლო ტექნიკისა და ტრაქტორების ექსპორტმა მოიმატა. აპრილში საქონლის ექსპორტის მოცულობა რეალურად 9.0%-ით შემცირდა.

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



წყარო: საქსტატი

საქონლის რეალური ექსპორტი (წლიური ზრდა)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება

რეგიონის ქვეყნებიდან საექსპორტო შემოსავლების კლებაში მაღალი წვლილი შეიტანა სომხეთსა და აზერბაიჯანში ექსპორტის შემცირებამ, რაც უმეტესად მსუბუქი ავტომობილების მკვეთრად შემცირებულმა გაყიდვებმა განაპირობა. გარდა ამისა, თურქეთში ელექტროენერგიისა და რეზინის პნევმატური სალტეების ექსპორტი შემცირდა, თუმცა, მეორე მხრივ, ამ ქვეყანაში ტანსაცმლისა და მინერალური და ქიმიური სასუქების ექსპორტი მომატებულია. დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია ბულგარეთსა და ჩინეთში სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, ლიეტუვასა და რუმინეთში მინერალური და ქიმიური სასუქების, ერაყში მსხვილფეხა ცოცხალი რქოსანი პირუტყვის, ბელგიაში მსუბუქი ავტომობილების, ხოლო უზბეკეთში სამკურნალო საშუალებების გაყიდვების კლება. ამის საპირისპიროდ, რეგიონის სხვა ქვეყნებში ექსპორტი გაიზარდა. კერძოდ, რუსეთში ყურძნის ნატურალური ღვინოებისა და სპირტიანი სასმელების, ხოლო ყირგიზეთსა და ყაზახეთში მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი გაიზარდა. ამასთანავე დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია ინდოეთში მინერალური და ქიმიური სასუქების, ხოლო უკრაინაში ფეროშენადნობების მცირეოდენი ზრდა. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი ექსპორტის 76% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

აპრილში საქონლის ექსპორტის უდიდესი წილი მსუბუქ ავტომობილებს (30%-იანი წილი მთლიან ექსპორტში) ეჭირა. წილობრივად ასევე მაღალი იყო ყურძნის ნატურალური ღვინოების, მინერალური წყლებისა და სპირტიანი სასმელების ექსპორტი. საქონლის ექსპორტის კლებაში ყველაზე დიდი წვლილი (-10.4 პპ მთლიან ცვლილებაში) სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების ჯგუფმა შეიტანა. აპრილში სპილენძის მადნების გაყიდვა ფაქტობრივად არ მომხდარა. წლის დასაწყისიდან დაწყებული, მსუბუქი ავტომობილების ექსპორტმა შემცირება განაგრძო და აპრილში წლიურად 28%-ით შემცირდა. გარდა ამისა, ექსპორტის მოცულობაზე სპირტიან სასმელებზე, ფეროშენადნობებზე და სამკურნალო საშუალებებზე საგარეო მოთხოვნის არსებითი მატება დადებითად აისახა. წინა წელთან შედარებით სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტი უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (აპრილი 2024, მლნ აშშ დოლარი)



წყარო: საქსტატი

ქვეყნების წილი საქონლის ექსპორტში (აპრილი 2024)



წყარო: საქსტატი

ფულადი გზავნილები - აპრილში საქართველოში გადმორიცხული თანხების მოცულობამ წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 24.8%-ით დაიკლო და 278.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საქართველოდან გადარიცხული თანხების მოცულობა 6.9%-ით 30.4 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა.

წლიურად ფულადი გზავნილების შემცირებას საბაზო ეფექტი და რუსეთიდან ფულადი გზავნილების კლება განაპირობებს. აპრილში, რუსეთიდან ფულადი გადმორიცხვები წლიურად 69%-ით, 49 მლნ აშშ დოლარამდე, შემცირდა. თუმცა, მაღალი ტემპით ზრდას განაგრძობს აშშ-დან გადმორიცხული ფულადი სახსრები (35.4%-ით). ასევე, დანარჩენი ქვეყნებიდან, როგორიცაა ისრაელი და ყირგიზეთი, გადმორიცხული ფულადი გზავნილები კვლავ ზრდადია (17.2%-იანი და 60.7%-იანი მატება, შესაბამისად). **კვლავ მნიშვნელოვანი წვლილი აქვს ევროკავშირის ქვეყნებიდან, იტალიიდან და გერმანიიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილების ზრდას.** აპრილში, რეგიონის ქვეყნებიდან, აზერბაიჯანიდან და ყაზახეთიდან გადმორიცხულმა თანხებმა დაიკლო, შესაბამისად 22.2%-ით და 37.9%-ით. უკრაინიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილები კვლავ მინიმალურ დონეზე რჩება. **აპრილში, ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (41.8%), რუსეთი (17.6%) და აშშ (16.6%) წარმოადგენდა.** ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალიის, საბერძნეთისა და გერმანიის მაღალი წილი მთლიან ფულად გზავნილებში.

ქვეყნების წილი სწრაფ ფულად გზავნილებში (აპრილი 2024)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი გზავნილების ზრდა (წვლილი ზრდაში ქვეყნების მიხედვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აპრილში, წინა თვესთან შედარებით, ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.6818-დან 2.6775-მდე (0.16%-ით), ხოლო ევროს მიმართ - 2.9123-დან 2.8724-მდე (1.37%-ით) გამყარდა. თვის ბოლოს ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 2.6835 და 2.8762 შეადგინა. აპრილში ლარი-დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალური მნიშვნელობა 2.6953 იყო, მინიმალური კი - 2.6699.

ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველთვიური მერყეობის დიაპაზონი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აპრილში, საშუალო კურსთან შედარებით, გაცვლითი კურსის მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობები დაახლოებით თანაბრად იყო გადახრილი.

აპრილში, საშუალოდ, დოლართან მიმართებაში შესამჩნევია დრამისა და ლარის გამყარება, გაუფასურებას განაგრძობს თურქული ლირა; ასევე გაუფასურდა ევროც და რუბლიც, ხოლო აზერბაიჯანული მანათი პრაქტიკულად არ შეცვლილა.

თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან გადახრა (ლარი/დოლარი)

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საშუალო თვიური გაცვლითი კურსების ცვლილება დოლართან მიმართებით (აპრილი 2024; ზრდა=გაუფასურება)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი წლიურად 3.3%-ით გაუფასურდა, თუმცა თვის ჭრილში 0.2%-ით გამყარდა. რაც შეეხება ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსს, წლიური გამყარება 7.8%-ია, თვის ჭრილში კი - 0.8%.

ეფექტური კურსის გაუფასურება ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე დადებითად აისახება, თუმცა იმპორტირებულ ინფლაციაზე ზრდის წნეხს ქმნის.

სავაჭრო პარტნიორთაგან აპრილში წლიური ინფლაცია თურქეთში, რუსეთში, ბელარუსში, აშშ-ში, უკრაინასა და ევროზონაში საქართველოზე მაღალი იყო, ხოლო აზერბაიჯანსა და სომხეთში - დაბალი. **ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან ნაწილში ინფლაციის კლების ტენდენცია შეინიშნება, თუმცა მთლიანობაში ფასების დონე ჯერ ისევ მაღალ დონეზე ნარჩუნდება.**

ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსები (იან 2020=100)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციები (აპრილი 2024)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზრის ტენდენციები

აპრილში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე მონაწილეობდა 14 ბანკი და 6[1] არასაბანკო ორგანიზაცია. სავალუტო ბაზრის მაჩვენებლების მიხედვით თვიურად ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი მცირედით გაზრდილია. **ჰერფინდალ-ჰირშმანის (HH) ინდექსი დაბალ დონეზე ნარჩუნდება, რაც სავალუტო ბაზრის კონკურენტულობაზე მიუთითებს.**

ბანკთაშორისი სავალუტო ბაზრის მთლიანი სავაჭრო ბრუნვა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბანკთაშორისი სავალუტო ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებლები 5 ყველაზე აქტიური ორგანიზაციის წილების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აპრილში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა შემცირდა როგორც წინა თვესთან, ასევე 2023 წლის აპრილთან შედარებითაც. აღნიშნულ თვეში აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 226.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით 39.2 მლნ აშშ დოლარით ნაკლებია, წინა წლის აპრილთან შედარებით კი - 168.3 მლნ აშშ დოლარით ნაკლები. მეორე მხრივ, ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით 2.3%-ით, ხოლო წლიურად 13.2%-ით გაიზარდა.

აპრილში სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები თითქმის მთლიანად სპოტ[2] გარიგებებით ხდებოდა (98.7%) და 3,210.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლიურად 213.6 მლნ აშშ დოლარითაა გაზრდილი, თვის ჭრილში კი - 226.8 მლნ აშშ დოლარით. სპოტ გარიგებების ძირითადი ნაწილი - იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე, მცირე კი არარეზიდენტ ბანკებზე მოდიოდა. საქართველოს ეროვნული ბანკის წილი მთლიან ვაჭრობაში 2.3% იყო. წესებზე დაფუძნებული ორმხრივი ინტერვენციების მექანიზმის გამოყენებით თვის განმავლობაში ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვამ 73.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

1 რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში.
2 სპოტ გარიგება ხდება იმავდროული ვალუტირებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.

სებ-ის მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე



*ანგარიშსწორების თარიღით

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სპოტ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აპრილში სპოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე როგორც მოთხოვნა, ასევე მიწოდება გაზრდილია როგორც წლიურ, ისე თვის ჭრილში. საერთო ჯამში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აპრილში სპოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა წლიურად 111.4 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვის ჭრილში ზრდა 132.2 მლნ აშშ დოლარია) და 1,657.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო მიწოდება წლიურად 102.2 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვის ჭრილში ზრდა 94.6 მლნ აშშ დოლარია) და 1,553.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სპოტ გარიგებებით როგორც ვალუტის შეძენაში, ასევე ვალუტის გაყიდვაში ყველაზე დიდი წილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე მოდიოდა.

აპრილში სავალუტო ფორვარდ[3] გარიგებებით კომერციულ ბანკებსა და სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის უცხოური ვალუტით ვაჭრობა წლიურად 13.5 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვის ჭრილში ზრდა 2.5 მლნ აშშ დოლარია) და 42.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ფორვარდ გარიგებებით ვაჭრობის ძირითადი ნაწილი არარეზიდენტ ბანკებსა და იურიდიულ პირებზე მოდიოდა. ფორვარდ გარიგებებით დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ ბანკებისგან უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვამ 14.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ბანკთაშორისი სპოტ გარიგებებით შეძენილი და გაყიდული უცხოური ვალუტა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფორვარდ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აპრილში, წინა თვესთან შედარებით, ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები 37.4 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა, რეზერვების მთლიანმა მოცულობამ კი 4.8 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. მიუხედავად მთავრობის სავალუტო ხარჯებისა (სესხების მომსახურება), რაც რეზერვების შემცირებას განაპირობებდა, რეზერვების მთლიანი მოცულობა გაზრდილია სებ-ის მიერ Bmatch-ით განხორციელებული სავალუტო შესყიდვების გამო.

3 სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი არის ფართოდ მოხმარებადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკების ჰეჯირებისათვის (დაზღვევისათვის). ფორვარდი იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრული კურსით, დღეს დაიდოს სავალუტო გარიგება ხოლო შესაბამისი ანგარიშსწორება განხორციელდეს მომავალში.
4 გრაფიკზე წარმოდგენილი სიდიდეები ასახავს უცხოური ვალუტით ლარის შეძენისა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციების ბრუნვებს.

ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მთლიანი საერთაშორისო რეზერვების თვიური ცვლილება (მიმდინარე კურსით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი ბაზარი

აპრილში სადეპოზიტო სერტიფიკატების ერთი აუქციონი ჩატარდა და 20 მლნ ლარის ღირებულების სამთვიანი სადეპოზიტო სერტიფიკატი გაიცა. ამავე პერიოდში 20 მლნ ლარის ერთი სადეპოზიტო სერტიფიკატი დაიფარა. შესაბამისად წინა თვესთან შედარებით, სადეპოზიტო სერტიფიკატების ნაშთი არ შეცვლილა და აპრილის ბოლოს 60 მლნ ლარი შეადგინა.

აპრილში სახაზინო ფასიანი ქაღალდების ექვსი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონებზე ჯამში 270.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. აპრილში ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი, ორწლიანი, ხუთწლიანი და ორი ათწლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 20, 20, 40, 85 და 105 მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. დაფარვების გათვალისწინებით, **სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი წინა თვესთან შედარებით 193.0 მლნ ლარით გაიზარდა და 8,675.4 მლნ ლარი შეადგინა. მთლიანი პორტფელის 63.6%-ს კომერციული ბანკების, 22.8%-ს ეროვნული ბანკის, 10.5%-ს რეზიდენტების, ხოლო 3.0%-ს არარეზიდენტების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდები შეადგენს.**

სადეპოზიტო სერთიფიკატების მოცულობა (ნაკადი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აპრილში სადეპოზიტო სერთიფიკატებისა და სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები შემცირდა, გრძელვადიანი სახაზინო ობლიგაციების კი გაიზარდა. კერძოდ, აპრილში, წინა თვესთან შედარებით, სადეპოზიტო სერტიფიკატებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით, 7.9%-მდე, შემცირდა. რაც შეეხება სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთებს, ექვსთვიანი და ერთწლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები 0.48 და 0.3 პპ-ით შემცირდა, შესაბამისად 7.81% და 7.86%-ს შეადგენდა. სახაზინო ორწლიანი ობლიგაციების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 0.27 პპ-ით შემცირდა და 7.88% შეადგინა. ხუთწლიანი და ათწლიანი სახაზინო ობლიგაციების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები კი გაიზარდა 0.35 და 0.37 პპ-ით, და შესაბამისად 8.32% და 8.36% შეადგინა.

ფულადი ბაზრის საპროცენტო განაკვეთები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარის შემოსავლიანობის მრუდი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აპრილში ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის მოცულობა, თვის ჭრილში 959.3 მლნ ლარით (წლიურად 7,308.5 მლნ ლარით) 16,893.2 მლნ ლარამდე გაიზარდა. რაც მეტწილად უცხოური ვალუტის რესურსით არის განპირობებული. ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის დიდი წილი, უცხოური ვალუტის ბრუნვაზე მოდის (79.5%), რომლის მოცულობაც თვიურად 845.0 მლნ ლარით (6.7%-ით) გაიზარდა. ლარის რესურსის ბრუნვის მოცულობა კი, თვის ჭრილში 114.3 მლნ ლარით (3.4%-ით) გაიზარდა.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ბანკთაშორის ბაზარზე ლარის ვალუტის რესურსზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.2 პპ-ით შემცირდა და 8.17% შეადგინა, ხოლო უცხოური ვალუტის რესურსზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით გაიზარდა და 3.47% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ აპრილში ფულადი ბაზრის რესურსის 51.1% ერთ თვემდე ვადიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 47.1% კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული აგრეგატები

აპრილში, წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 381.1 მლნ ლარით (5.8%) გაიზარდა და პერიოდის ბოლოსთვის 6.9 მლრდ ლარი შეადგინა. მონეტარული ბაზა საშუალო მაჩვენებლის მიხედვით წინა თვესთან შედარებით, 199.9 მლნ ლარით (3.0%-ით) გაიზარდა.

აპრილში, საბანკო სისტემაში შიდა სამთავრობო კონვერტაციებით, ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო გაყიდვებმა 68.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სავალუტო აუქციონებში ეროვნულ ბანკს მონაწილეობა არ განუხორციელებია. BMatch პლატფორმის წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვებმა აპრილის განმავლობაში 73.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მთლიანობაში შიდა სამთავრობო კონვერტაციებით, სავალუტო ინტერვენციებით და BMatch მექანიზმით, წმინდა უცხოური აქტივები დაახლოებით 4.8 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. აპრილში მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 683.3 მლნ ლარით შემცირდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის 886.4 მლნ ლარს გაუტოლდა.

სარეზერვო ფულის თვიური ცვლილება კომპონენტების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი აგრეგატები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აპრილში ნაღდ ფულზე მოთხოვნა 69.8 მლნ ლარით გაიზარდა. რეფინანსირების სესხები წინა თვესთან შედარებით 55.0 მლნ ლარით შემცირდა. ერთდღიანი სესხის ნაშთი 215.0 მლნ ლარით შემცირდა. აპრილში, განთავსდა და დაიფარა 20 მლნ ლარის ნომინალური მოცულობის სადეპოზიტო სერთიფიკატები. მეორად ბაზარზე სახაზინო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა არ ყოფილა. მთლიანობაში, აპრილში ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 270.0 მლნ ლარით შემცირდა და პერიოდის ბოლოსთვის, 2,395.0 მლნ ლარს გაუტოლდა.

აპრილში ფართო ფულის (M3) მოცულობა თვიურად 265.6 მლნ ლარით შემცირდა, უცხოური ვალუტის დეპოზიტების კლების გავლენით. რაც შეეხება M2 აგრეგატს, მისი მოცულობა 84.4 მლნ ლარით გაიზარდა.

საბანკო სექტორის ლიკვიდობაზე მოქმედი ფაქტორები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული ოპერაციები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ცხელი ხაზი: 240 64 06
ელ ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge